ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი ბიოლოგიის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა
„ბიოლოგია“
“Biology”

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ბიოლოგია, Biology

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ბიოლოგიის მაგისტრი (ბიომრავალფეროვნება, ბიოქიმია; ნეირომეცნიერებები; განვითარების ბიოლოგია; მცენარეთა ფიზიოლოგია; მიკრობიოლოგია; იმუნოლოგია; უჯრედული ბიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია; გენეტიკა; ბიოფიზიკა).
MSc in Biology (Biodiversity; Biochemistry; Neurosciences, Developmental Biology; Plant Physiology, Microbiology; Imunology; Cellular biology; Molecular Biology; Genetics, Biophysics).

3. პროგრამის ხელმძღვანელები: (CV+ ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები იხ. დანართი I)

- ნანული დორეული, სრული პროფესორი (მოდული „ნეირობიოლოგია“)
- არნოლდ გეგეჭკორი, სრული პროფესორი (მოდული „ბიომრავალფეროვნება“);
- ნანა კოშორიძე, სრული პროფესორი (მოდული „ბიოქიმია“);
- დიანა ძიძიგური, სრული პროფესორი (მოდული „უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია“);
- ნანული კოტრიკაძე, სრული პროფესორი (მოდული ”უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია);
- თეიმურაზ ლეჟავა, სრული პროფესორი (მოდული „გენეტიკა“).
- მარიამ გაიდამაშვილი, ასოცირებული პროფესორი (მოდული “მცენარეთა ბიოლოგია“);
- ნინო გაჩეჩილაძე, ასოცირებული პროფესორი (მოდული „მიკრობიოლოგია/იმუნოლოგია“); სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფესორი ნანული დორეული

4. პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 120 ECTS კრედიტი

5. სწავლების ენა – ქართული

6. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
სამაგისტრო პროგრამის მიზანი:
პროგრამა მოდულების სისტემაზეა აგებული და მაგისტრანტებს ბიოლოგიური დისციპლინების ფუნდამენტური ცოდნითა და არჩეული დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით უზრუნველყოფს. ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ყველა სტუდენტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას ცოცხალი სისტემის ელემენტარული მორფოლოგიური ერთეულის უჯრედის ონტოგენეზსა და გენეტიკაში. მაგისტრატურის სტუდენტები შეისწავლიან გენურიკლონირების საფუძვლებს, მიიღებენ ცოდნას ცხოველთა ქცევის ფიზიოლოგიასა და ბიოქიმიაში, ასევე შეისწავლიან გარემოს დაცვის საფუძვლებს. სამაგისტრო პროგრამა “ბიოლოგია” სამეცნიერო კვლევაზეა ორიენტირებული, მისი ინტერესები ისევე მრავალფეროვანია, როგორც კვლევის სფერო. ყოველი მაგისტრანტი ყველა აღნიშნულ სფეროში სავალდებულო კომპეტენციას იღებს, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება იმ დარგს ეთმობა, რომელშიც იგი სამაგისტრო თემის კვლევით კომპონენტს ასრულებს.

- მოდული “ბიომრავალფეროვნება”. მოდულის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფუნდამენტური ცოდნა ბიომრავალფეროვნებისა და მისი კონსერვაციის საკითხებში გლობალური და რეგიონული მასშტაბით; აღნიშნული კურსი სტუდენტს მისცემს ინტერდისციპლინურ განათლებას ცოცხალ ბუნებასთან მიმართებაში, რაც გულისხმობს ნეონტოლოგიური საგნების (ბოტანიკა, ზოოლოგია) ათვისებას ისტორიული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის ზოგადი საფუძვლებით. მსგავსი ცოდნა – თანამედროვეს სინთეზი წარსულთან – სტუდენტს აძლევს სრულყოფილ ინფორმაციას ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ტაქსონების წარმოშობაზე, მათ ფუნქციურ როლზე თანამედროვე და წარსულ ბიოსფეროებში, მათ განსახლებასა და ადაპტურ რადიაციებზე, ამ პროცესთა პალეოეკოლოგიურ მიზეზებზე გეოლოგიური ერების, პერიოდებისა და ეპოქების მიხედვით (საერთოპლანეტური და რეგიონული, მაგალითად, კავკასიის ფარგლებში); სასწავლო კურსი ასევე იძლევა ცოდნას აბსტრაქტული აზროვნების მქონე სახეობის – ანატომიურად თანამედროვე ადამიანის (Homo sapiens) წარმოშობა – განვითარებასა და მის დუალისტურ არსებად ფორმირებაზე ჰოლოცენის განმავლობაში; ასეთი ცოდნა აუცილებელია დედამიწის ეკოსისტემებისა და მათი ცოცხალი კომპონენტების, განსაკუთრებით რელიქტური ფორმების და, ზოგადად, გენოფონდის შენარჩუნების გასათვითცნობიერებლად („თანამედროვე წარსულის გასაღებია“– ჯეიმს ჰატონი). სასწავლო

კურსით გათვალისწინებულია, სტუდენტმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია დედამიწის ბიომებზე, მათი ორგანული სამყაროს სტრუქტურაზე, ცალკეულ ბიომში მცენარეთა და ცხოველთა აბიოტურ ფაქტორებთან ადაპტაციის თავისებურებებზე, ადამიანის (ანთროპოგენული) როლზე თითოეულ ბიომში, დედამიწის თანამედროვე ბიომების წარმოშობაზე გეოლოგიურ წარსულში; მაგისტრებს სასწავლო კურსის გავლის შემდეგ ექნებათ სრული წარმოდგენა დედამიწის ზურგზე მცენარეებისა და ცხოველების რეგიონალიზაციაზე (ფიტოგეოგრაფია და ზოოგეოგრაფია); დაუფლებულები იქნებიან ზოგადი ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული აუცილებლად გაღრმავდება საქართველოს სხვადასხვა ბიომში ჩატარებული საველე სამუშაოებისას. ამგვარად მიღებული თეორიული ცოდნა, ტრანსფორმირებული საქართველოს მრავალფეროვან ლანდშაფტებში იქნება სტუდენტებისათვის ბიომრავალფეროვნების დარგში საფუძვლიანი განათლების უზრუნველყოფის სრული გარანტია.

- მოდულის "ბიოქიმია" მიზანია მოამზადოს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული განათლებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძლებს აწარმოოს როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევები ფუნდამენტურ ბიოქიმიაში, ასევე გამოყენებით და სამედიცინო ბიოქიმიაში. მოდულის მიზანია მაგისტრს გააცნოს ბიოქიმიის, როგორც მეცნიერების დარგის მრავალფეროვნება, შეასწავლოს თანამედროვე ბიოქიმიური კვლევის მეთოდები, გააღრმავოს წარმოდგენა ბიოქიმიის მნიშვნელობაზე ბიოლოგიური მეცნიერებებისა და მედიცინის განვითარებაში. პროგრამა სამეცნიერო კვლევებზეა ორიენტირებული.
- მოდულის "უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია" მიზანია მოამზადოს მკვლევარი მორფოლოგი, რომელსაც შეეძლება: დამოუკიდებელად აწარმოოს სამეცნიერო კვლევები ორგანიზმის განვითარების როგორც პრე-, ასევე პოსტნატალურ პერიოდში, როგორც ქსოვილების, ასევე უჯრედულ დონეზე; თანამედროვე მიკროსკოპული ტექნიკის გამოყენებით ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური პრეპარატების დამზადება, აღწერა და წინასწარი დიაგნოსტირება; შემოქმედებითი მიდგომა ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტის პროცესში.
- მოდულის "მცენარეთა ბიოლოგია" მიზანია მოამზადოს სპეცილისტი მცენარეთა ბიოლოგიაში, რომელსაც ექნება ფუნდამენტური ცოდნა მცენარის სასიცოცხლო პროცესების, ზრდა, განვითარების და გარემოსთან ურთიერთქმედების შესახებ. მაგისტრი შეძენილ ცოდნას გამოიყენებს მცენარეთა გამრავლებაში, ბიოტექნოლოგიაში ან გარემოს დაცვის საკითხებში და სამეცნიერო კვლევისათვის.
- მოდულის "მიკრობიოლოგია/იმუნოლოგია" მიზანია მოამზადოს მკვლევარი იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის დარგში, იმუნოლოგიის, იმუნოპათოლოგიების, იმუნური სისტემის რეგულაციების, ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციური პროცესების, სამრეწველო მიკრობიოლოგიისა და ვაქცინებისა და მიკრობული ვექტორების ფუნდამენტური ცოდნით, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა იმუნოპათოლოგიისა და ინფექციური პროცესების კვლევისათვის ეფექტური თანამედროვე მეთოდიკის შერჩევა. კურსდამთავრებული იქნება კვალიფიციური სპეციალისტი იმუნოდიაგნოსტიკასა და რეკომბინანტული ვაქცინების დარგში.
- მოდული "ნეირობიოლოგია" მაგისტრატურის სტუდენტებს მისცემს საფუძვლიან ცოდნას ცხოველურ ორგანიზმში მიმდინარე ნორმალურ ფიზიოლოგიურ პროცესებზე. სტუდენტები ასევე შეისწავლიან პათოლოგიების ნეირობიოლოგიურ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, უჯრედულ და მოლეკულურ საფუძვლებს. სხვადასხვა დაავადების პათოგენეზში ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების როლის უკეთ განსაზღვრის მიზნით, სასწავლო კურსების პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში ექსპერიმენტები განხორციელდება დაავადებათა ცხოველურ მოდელებზე.
- მოდულის "უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია" მიზანია მოამზადოს მკვლევარები ბიომოლეკულური მეცნიერებების დარგში, უჯრედული ბიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ფუნდამენტური ცოდნითა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და წარმოების უნარ- ჩვევებით. პროგრამა რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს: თანამედროვე მოლეკულურ- ბიოლოგიური და ბიოფიზიკური მეთოდოლოგია, სიგნალის ტრანსდუქცია, უჯრედის ტრანსფორმაცია და ონკოგენეზი, პათოლოგიების განვითარების მოლეკულური საფუძვლები, ბიოდეგრადაცია/ბიორემედიაციის მექანიზმები და ბიოკონტროლი. პროგრამა ცოცხალ სისტემებში სტრუქტურა/ფუნქციის ურთიერთკავშირისა და უჯრედული პროცესების მოლეკულურ დონეზე შესწავლას ითვალისწინებს, აგებულია ორგანიზაციული სტრუქტურის გართულების მიხედვით და მოიცავს დონეებს უჯრედი/ორგანიზმი.

- მოდულის "გენეტიკა" მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები გენეტიკური კანონზომიერებების ღრმა ცოდნით, რომლებიც კარგად ერკვევიან განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ორგანიზმთა მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესებში, გენომის სტრუქტურისა და ფუნქციონირების თავისებურებებში, მემკვიდრული ცვალებადობის მექანიზმებში და მის მნიშვნელობაში ევოლუციისათვის, პათოლოგიათა გენეტიკურ საფუძვლებში.
- მაგისტრებს დამოუკიდებლად შეეძლებათ ზოგადგენეტიკური, სამედიცინო და გამოყენებითი გენეტიკის ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების ძიება, კვლევითი სამუშაოების დაგეგმარება, ექსპერიმენტის ჩატარება შესაბამისი გენეტიკური მეთოდების გამოყენებით, შედეგების ანალიზი, დასკვნების გაკეთება და გარკვეულ რეკომენდაციათა შემუშავება.
- ინტერდისციპლინური ბიოფიზიკის სპეციალიზაციის, რომლის სავალდებულო და რჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია პროგრამის სხვადასხვა მოდულებში, მიზანია, სტუდენტებს მიაწოდოს ღრმა და სისტემური ინფორმაცია ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ, ფიზიკურ– ქიმიურ პროცესებზე. სტუდენტი შეისწავლის ფიზიკის მიერ დადგენილი ზოგიერთი კანონზომიერების გამოყენების შესაძლებლობას ბიოლოგიასა და მედიცინაში. მაგისტრანტი გაეცნობა დიაგნოსტიკისათვის გამოყენების პრინციპებს, ვინაიდან მედიცინაში მეცნიერულ კვლევას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს ფიზიკური მოვლენები და პროცესები, ფიზიკური მეთოდები, აპარატურა და ხელსაწყოები. სტუდენები შეისწავლიან იმ ფიზიკურ მოვლენებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ფოტობიოლოგიურ, რადიობიოლოგიურ და გარემოს სტრესული ფაქტორებით გამოწვეულ პროცესებს. ასევე სპეციალიზაციის მიზანია, სტუდენტს მისცეს სათანადო ცოდნა ბიომოლეკულათა სტრუქტურის, ფუნქციის, მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებების, ზემოლეკულური სტრუქტურების კვლევის თანამედროვე მეთოდებზე. აღნიშნული სპეციალიზაცია საშუალებას მისცემს სტუდენტებს გამოსცადონ თავიანთი კრეატიულობა ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი მიკროგარემოს ურთიერთქმედების სწორი ანალიზისთვის და ამ მიზნით გამოიყენონ ბიოფიზიკური პრინციპები და შესაბამისი საინჟინრო მეთოდები.

სამაგისტრო პროგრამის მოდულები მომზადებულია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად და მისი მიზანია მიანიჭოს სტუდენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამისი მაგისტრის ხარისხი.

სწავლის შედეგები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ბიოლოგიური დისციპლინების და არჩეული მოდულის შესაბამისი სასწავლო კურსების ღრმა და სისტემური ცოდნა. იცნობს სპეციალურ ბიოლოგიურ ტერმინოლოგიას, შეუძლია ფაქტობრივი მასალის შემოქმედებითი ათვისება, მისი თეორიულ საფუძველზე განზოგადება და სისტემატიზება. კურსდამთავრებულს აქვს საფუძვლიანი ცოდნა ბიოლოგიის დარგში გამოყენებული თანამედროვე კვლევის მეთოდებისა და სამეცნიერო კვლევებში გამოყენებული კომპიუტერული პროგრამების. აქვს სტატისტიკური მეთოდების კვალიფიციურად გამოყენების უნარი. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა აძლევს საშუალებას შეიმუშავოს ახალი ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს წამოჭრილი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის ინოვაციური გზები ბიოლოგიურ დისციპლინათა საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები - ბიოლოგიის მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება და პრობლემების კომპლექსური

გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. მაგისტრს შეუძლია დარგის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განახორციელოს ექსპერიმენტული კვლევა როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამუშაო ჯგუფთან ერთად. კონკრეტული მოდულები იძლევა სპეციალიზაციისათვის სპეციფიკურ კომპეტენციებს. სასპეციალიზაციო მოდულების შედეგები ძირითადად ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში ცოდნის განსხვავებით გამოიხატება, ხოლო მოდულებით გათვალისწინებული ზოგადი კომპეტენციები ერთნაირია.

შესაბამისად:

“ბიომრავალფეროვნება” მოდული ითვალისწინებს ბიოლოგიის მაგისტრის შემდეგ სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს:

- ბიომრავალფეროვნების ფუნდამენტური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ინტერდისციპლინური განათლება ცოცხალ ბუნებასთან მიმართებაში;
- ზოგადი ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრინციპების ცოდნა.
- ველზე კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა.
- სამაგისტრო თემასთან დაკავშირებით საკითხის გაცნობიერება და საველე კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა.
- კვლევების შედეგად დაგროვილ მონაცემთა გაანალიზება/გააზრება
- ველზე მუშაობის ზოგადი ეთიკური ნორმების ცოდნა/დაცვა

“ბიოქიმია” – მოდული ითვალისწინებს ბიოლოგიის მაგისტრის შემდეგ სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს:

- ფუნდამენტური ბიოქიმიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- გამოყენებითი და სამედიცინო ბიოქიმიის საფუძვლების ცოდნა;
- სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ბიოქიმიური კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა;
- ექსპერიმენტული მიდგომების გაცნობიერება და კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით;
- ბიოქიმიური კვლევების შედეგად დაგროვილ მონაცემთა გაანალიზება/გააზრება;
- მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.
- საექსპერიმენტო ცხოველებთან მუშაობის ზოგადი ეთიკური ნორმების ცოდნა/დაცვა “უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია” – სპეციფიკური დარგობრივი კომპეტენციები:
- მორფოლოგიური დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- განვითარების ბიოლოგიის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა;
- თანამედროვე მიკროსკოპული ტექნიკის გამოყენებით ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური პრეპარატების დამზადება, აღწერა და წინასწარი დიაგნოსტირების პრინციპების ცოდნა;
- მორფოლოგიური კვლევების შედეგად დაგროვილ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.
- საექსპერიმენტო ცხოველებთან მუშაობის ზოგადი ეთიკური ნორმების ცოდნა და დაცვა “მცენარეთა ბიოლოგია” – სპეციფიკური დარგობრივი კომპეტენციები:
- ფუნდამენტური ცოდნა მცენარის სასიცოცხლო პროცესების, ზრდა, განვითარების და გარემოსთან ურთიერთქმედების შესახებ;
- ბიოტექნოლოგიის პრინციპების ცოდნა;
- გარემოს დაცვის პრინციპების ცოდნა;

“მიკრობიოლოგია/იმუნოლოგია” – სპეციფიკური დარგობრივი კომპეტენციები:

მიკრობიოლოგია:

- მიკრობიოლოგიის საკითხების ფუნდამენტური ცოდნა;
- ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციური პროცესების ფუნდამენტური საკითხების ცოდნა;
- სამრეწველო მიკრობიოლოგიისა და ვაქცინების წარმოების პრინციპების ცოდნა;
- სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მიკრობიოლოგიური კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა.

იმუნოლოგია:

- იმუნოლოგიის საკითხების ფუნდამენტური ცოდნა;
- იმუნოპათოლოგიების, იმუნური სისტემის რეგულაციების პრინციპების ცოდნა;
- იმუნოდიაგნოსტიკის პრინციპების ცოდნა;
- რეკომბინანტული ვაქცინების წარმოების პრინციპების ცოდნა;

„ნეირობიოლოგიის“ მოდული ითვალისწინებს ბიოლოგიის მაგისტრის შემდეგ სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს:

- ნეირობიოლოგიის ფუნდამენტური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- მეტაბოლური დარღვევების ბიოქიმიური და ბიოფიზიკური მექანიზმების ცოდნა;
- ცხოველური ორგანიზმის ფუნქციების ჰისტოლოგიური სტრუქტურით უზრუნველყოფის პრინციპების ცოდნა;
- სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ნეირობიოლოგიური კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა.

“უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის” მოდული ითვალისწინებს ბიოლოგიის მაგისტრის შემდეგ სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს:

უჯრედული ბიოლოგია:

- უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის ძირითადი საკითხების ფუნდამენტური ცოდნა;
- სიგნალების ტრანსდუქციის, უჯრედის ტრანსფორმაციისა და ონკოგენეზის ძირითადი ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა;
- პათოლოგიების განვითარების მოლეკულური საფუძვლების ცოდნა;
- თანამედროვე მოლეკულურ-ბიოლოგიური და ბიოფიზიკური მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა; მოლეკულური ბიოლოგია:
- უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა ცოდნა;
- სიგნალის ტრანსდუქციის, უჯრედის ტრანსფორმაციისა და ონკოგენეზის ძირითადი ასპექტების ცოდნა;
- პათოლოგიების განვითარების მოლეკულური საფუძვლების ცოდნა;
- ბიოდეგრადაცია/ბიორემედიაციის მექანიზმებისა და ბიოკონტროლის პრინციპების ცოდნა. მოდულის “გენეტიკა” ითვალისწინებს ბიოლოგიის მაგისტრის შემდეგ სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს:
- გენეტიკური კანონზომიერებების ღრმა ცოდნა;
- განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ორგანიზმთა მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის პროცესების საფუძვლიანი ცოდნა;
- პათოლოგიათა გენეტიკური საფუძვლების საფუძვლიანი ცოდნა;
- სამედიცინო და გამოყენებითი გენეტიკის პრინციპების ცოდნა;
- ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა;
- კვლევის გენეტიკური და ჰემატოლოგიური მეთოდების საუძვლიანი ცოდნა.

ბიოფიზიკის სპეციალიზაცია ითვალისწინებს ბიოლოგიის მაგისტრის შემდეგ სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს:

- ფუნდამენტური ბიოფიზიკური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- გამოყენებითი და სამედიცინო ბიოფიზიკის ღრმა ცოდნა;
- სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ბიოფიზიკური კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა;
- სამეცნიერო ლაბორატორიაში მუშაობის ძირითადი პრინციპები, ძირითად აპარატურაზე მუშაობის უნარ-ჩვევები; აგრეთვე ექსპერიმენტის დაგეგმის/დიზაინის, მომზადების, შესრულებისა და მიღებული შედეგების ანალიზი.
- მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

გ) დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

დ) კომუნიკაციის უნარი - მაგისტრს აქვს ზეპირი და წერითი პრეზენტაციის დახვეწილი კულტურა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით შეუძლია კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, შეუძლია ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას თავისი პოზიცია აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებითა.

ე) სწავლის უნარი - მაგისტრატურაში შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მაგისტრი აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს, მას შეუძლია სტრატეგიულად სწორად და მაღალ დონეზე დაგეგმოს სწავლა და ცოდნის გაღრმავება.

ვ) ღირებულებები - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების სწორი შეფასება. აცნობიერებს და იცავს ბიოეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ცოცხალ ორგანიზმებთან/გარემოში (ველზე) მუშაობისას.

7. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი ბიოლოგიაში ან დიპლომირებული სპეციალისტი მედიცინაში ან ბაკალავრი, რომელსაც დამატებით (minor) სპეციალობად არჩეული ჰქონდა ბიოლოგია ან გავლილი აქვს ბიოლოგიის მაიორ პროგრამის ეკვივალენტური სასწავლო კურსები;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა ბიოლოგიაში.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში პროფესურა სხვადასხვა მეთოდს იყენებს, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამაში სტუდენტებთან მუშაობისას გამოყენებულია მეთოდთა მთელი სპექტრი. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში. სამაგისტრო პროგრამაში სწავლებისას გამოყენებულია შემდეგი მიდგომები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი; 4. პრეზენტაცია (PowerPoint);
5. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი: ცდების დაყენება, ვიდეომასალის ჩვენება და სხვ.;
6. პრაქტიკული მეთოდები, მათ შორის საველე მუშაობაც.

სწავლებისას ცალკეულ საგანთან მიმართ გამოიყენება ასევე ისეთი მეთოდები, როგორიცაა

1. დისკუსია, დებატები;
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative);
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL);
4. ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
5. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
6. დისტანციური სწავლება;
7. ელექტრონული სწავლება (E - learning) და სხვა.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის დონის/ხარისხის და ათვისებული მასალის მოცულობის დადგენა მიმდინარეობს განათლების სისტემაში და თსუ–ში არსებული მოთხოვნების შესაბამისად, წინასწარ შემუშავებული „შეფასების კრიტერიუმებზე“ დაყრდნობით.

პროფესორი სტუდენტების შეფასებით აფასებს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგებს; ფასდება, თუ რამდენად აითვისა სტუდენტმა საგანი და მიაღწია სწავლის შედეგებს.

სამაგისტრო პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია. პრაქტიკული ტიპის კურსებში გამოყენებულია წერითი დავალებები, საშინაო დავალებები, ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემები, მათი დამუშავება და ანალიზი და სხვ.

სასწავლო პროცესი სხვადასხვა კურსთან მიმართებაში განსხვავებულია, გამოყენებულია სხვადასხვა ფორმატი: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, ასევე საველე პრაქტიკა. მათი შეფასება სხვადასხვა ხერხით არის განხორციელებული. გამოყენებულია შემდეგი შეფასების პროცედურა:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე;
- საკონტროლო სამუშაო;
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება;
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები;
- შუალედური გამოცდა;
- საბოლოო გამოცდა;
- ექსპერიმენტის დემონსტრირება და სხვა

სწავლების საფეხურიდან გამომდინარე (მაგისტრატურა) საგნებში, სადაც ფასდება „საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება“, ძირითადი მოთხოვნაა, რომ წარმოდგენილი იყოს ინდივიდუალური პრეზენტაციები. თუმცა, პრზენტაციების ოპონენტებად თავად მაგისტრები ინიშნებიან.

პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით. ფასდება პრეზენტაციის:

1. ფორმალური მხარე
2. შინაარსობრივი მხარე
3. პრეზენტაციის ტექნოლოგია (კონტაქტი აუდიტორიასთან).

თითქმის ყველა საგანში ლექტორები მიმართავენ სტუდენტების შუალედურ გამოკითხვას. შუალედური შემოწმების დროს სტუდენტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით. ამასთან ერთი შუალედური შემოწმება მაინც აუცილებლად არის წერითი.

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

- მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა
- ყოველ საგანში სტუდენტის შეფასება გამოითვლება სილაბუსში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების თანახმად.

შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასე გამოიყურება:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება მრავალი კომპონენტით, რომელთა შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს ამა თუ იმ საგნის პროფესორი, ცალკეულ საგანთან მიმართ გამოყენე- ბული შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსში (იხილეთ საგნის სილაბუსები).

სტუდენტის შეფასების განმსაზღვრელი კომპონენტების რაოდენობა სულ მცირე სამი მაინცაა, აქედან ერთი სავალდებულო საბოლოო გამოცდაა, რომლის ხვედრითი წილია 40%. ცალკეულ საგანთან მიმართებაში გამოყენებული შეფასების სისტემა ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული შეფასების სისტემას (რექტორის ბრძანება N 219).

10. სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

	სასწავლო კურსი	ECTS	ს კ	ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული/სემინარი	საკონტაქტო/დამოუკიდ.მუშაობის საათების	წინაპირობა	სემესტრი				პედაგოგები
							I	II	III	IV	
	პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები (30 კრედიტი)										
1	თანამედროვე მეთოდები ბიოლოგიაში	10	6	2/0/4/0	90/160	–	10				ნ. დორეული, დ. ძიძიგური, ნ. კოშორიძე, ნ. კოტრიკაძე, თ. ჯოხაძე, მ.გაიდამაშვილი, ნ. გაჩეჩილაძე
2	ქცევის ფიზიოლოგია და ბიოქიმია	5	4	2/0/2/0	60/65	–	5				ნ. დორეული ე. მითაიშვილი მ. ჩაჩუა
3	უჯრედის ონტოგენეზი და გენეტიკა	5	4	2/0/0/2	60/65	–	5				დ. ძიძიგური, თ. ლეჟავა
4	გარემოს დაცვის საფუძვლები	5	3	2/0/0/1	45/80	–	5				არნ. გეგეჭკორი, მ. გაიდამაშვილი, შ. შეთეკაური
5	გენური კლონირების საფუძვლები	5	3	2/0/0/1	45/80	–	5				მ. გორდეზიანი ნ. ჭიკაძე მ. ალიბეგაშვილი
	I. მოდული „ბიომრავალფეროვნება“ სასპეციალიზაციო სავალდებულო სასწავლო კურსები (45										
6	პარაზიტოლოგია	5	3	1/1/0/1	45/80	7			5		არნ. გეგეჭკორი
7	გამოყენებითი ეკოლოგია	5	3	2/0/0/1	45/80	4		5			გ. ქაჯაია
8	კონსერვაციული ბიოლოგია	5	3	1/0/0/2	45/80	4, 7,11			5		მ. ბურჯანაძე
9	ადამიანის ევოლუცია და პირველყოფილი ცივილიზაციები	5	3	1/0/0/2	45/80	3		5			არნ. გეგეჭკორი

10	დედამიწის ბიომები	10	6	2/0/0/4	90/160	–		5	5		არნ. გეგეჭკორი
11	ადგილობრივი ფლორა	5	3	1/2/0/0	45/80	4		5			შ. შეთეკაური
12	ფიტოგეოგრაფია	5	3	1/2/0/0	45/80	4, 7			5		შ. შეთეკაური
13	მცენარეთა დაცვის მეთოდები და საკანონმდებლო ნორმები	5	4	2/0/0/2	60/65	4			5		მ. გაიდამაშვილი, ე. ხურციძე
არჩევითი სასწავლო კურსები (40 კრედიტიდან 15 კრედიტი)											
14	ცხოველთა სამეფოს ძირითადი ჯგუფების ევოლუცია	5	3	1/0/0/2	45/80	-			5		არნ. გეგეჭკორი
15	დედამიწის კონტინენტების ისტორია, ბუნება და აბორიგენი მოსახლეობა	5	3	1/0/0/2	45/80	-			5		არნ. გეგეჭკორი
16	რეგიონული ეკოლოგია	5	3	1/0/0/2	45/80	-		5			გ. ქაჯაია
17	ზოოგეოგრაფია	5	3	1/0/0/2	45/80	–		5			არნ. გეგეჭკორი
18	სამკურნალო მცენარეები	5	3	1/2/0/0	45/80	-		5			შ. შეთეკაური
19	ეკოლოგიური ბიოფიზიკა*	5	3	2/0/0/1	45/80	-			5		ზ. ქუჩუკაშვილი, ა. ჭოღოშვილი
	უცხოური ენა 1	5	4	0/4/0/0	60/65	-		5			
	უცხოური ენა 2	5	4	0/4/0/0	60/65	-			5		
*-სავალდებულო საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად											
II. მოდული „ბიოქიმია“ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (50 კრედიტი)											
20	ნეიროქიმია	5	3	2/0/1/1	45/80	2		5			მ. ჩაჩუა
21	უჯრედის სტრუქტურული კომპონენტების ბიოქიმია	5	3	2/0/0/1	45/80	-		5			ე. ზაალიშვილი
22	გლიკობიოლოგია	5	4	2/0/1/1	60/65	–		5			ე. დავითაშვილი
23	მემბრანოლოგია*	5	3	1/0/1/1	45/80	–		5			ლ.წაქაძე
24	ფუნქციური ბიოქიმია	5	4	2/0/1/1	60/65	2		5			ნ. კოშორიძე
25	მაკრომოლეკულების ქიმია	5	4	2/0/1/1	60/65	21, 24			5		ქ. მენაბდე
26	მცენარეთა ბიოქიმია	5	3	2/0/0/1	45/80	24			5		ნ. ამაშუკელი
27	ეკოლოგიური ბიოქიმია	5	4	2/0/0/2	60/65	2,4			5		ე. დავითაშვილი

28	ენზიმოლოგია	5	3	2/0/0/1	45/80	22			5		გ. ჭკადუა
29	ტექნიკური ბიოქიმია	5	3	1/0/1/1	45/80	22, 25			5		ლ.წაქაძე
არჩევითი სასწავლო კურსები (35 კრედიტიდან 10 კრედიტი)											
30	მოლეკულური ენდოკრინოლოგია	5	3	1/0/1/1	45/80	24			5		ნ.კოშორიძე
31	კლინიკური ბიოქიმია	5	3	1/0/1/1	45/80	2			5		ნ.კოშორიძე
32	ბიოანტიოქსიდანტები ნორმასა და პათოლოგიურ პროცესთა მეტაბოლურ	5	3	1/0/2/0	45/80	-		5			ზ. ქუჩუკაშვილი
33	ბიოენერგეტიკა და ბიოლოგიურ პროცესთა კინეტიკა*	5	4	2/0/0/1	60/65	-			5		ა. ჭოღოშვილი
34	ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდები*	5	4	1/0/3/0	60/65	-			5		ზ. ქუჩუკაშვილი; მ. მარდალეიშვილი
	უცხოური ენა 1	5	4	0/4/0/0	60/65	-		5			
	უცხოური ენა 2	5	4	0/4/0/0	60/65	-			5		
*-სავალდებულო საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად											
III. მოდული „უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია" სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები											
35	უჯრედების ბიოლოგია in vitro სისტემაში და ქრონობიოლოგია	5	4	2/2/0/0	60/65	3		5			დ. ძიძიგური, ე. თავდიშვილი
36	ფუნქციური ჰისტოლოგია	5	4	2/2/0/0	60/65	–		5			ე. ბაკურაძე
37	პათოლოგიური ჰისტოლოგია	5	3	1/2/0/0	45/80	36			5		ი. სვანიძე
38	მორფოლოგიის საფუძვლები	5	4	2/0/0/2	60/65	3, 35			5		დ. ძიძიგური
39	ბიოსტრუქტურების ციფრული 3D/4D (3D+დრო)	5	4	2/2/0/0	60/65	1,3			5		პ. ჭელიძე
40	უჯრედისა და განვითარების ბიოლოგიის კვლევის მეთოდები	10	6	2/4/0/0	90/160	1		10			თ. თუმანიშვილი,
41	განვითარების ბიოლოგიის თანამედროვე ასპექტები და სწავლების მეთოდები	10	5	2/2/0/1	75/175	–			10		ე. ჩერქეზია
42	უჯრედის ფიზიოლოგია და ციტოფარმაკოლოგია	5	4	2/0/0/2	60/65	2,3,5		5			მ. გედევანიშვილი
არჩევითი საგნები (10 კრედიტი)											
43	ღერო უჯრედების პლასტიკურობა და იმუნომორფოლოგია	5	3	2/00/1	45/80	-		5			ე. ბაკურაძე
44	რეგულაციის ციტოლოგიური საფუძვლები	5	3	2/0/0/1	45/80	35			5		დ. ძიძიგური

45	შედარებითი ჰისტოლოგია	5	3	1/2/0/0	45/80	36			5		პ.ჭელიძე
46	უჯრედული და მოლეკულური ბიოფიზიკა*	5	3	2/0/0/1	45/80	–			5		მ.ფირცხალავა
	უცხოური ენა 1	5	4	0/4/0/0	60/65	-		5			
	უცხოური ენა 2	5	4	0/4/0/0	60/65	-			5		
*-სავალდებულო საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად; **-არჩევითი საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად											
	IV. მოდული „მცენარეთა ბიოლოგია" სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნები (50										
47	მცენარეთა პროდუქტიულობის ფიზიოლოგიური საფუძვლები	5	3	2/0/0/1	45/80	–		5			ნ. ქებურია
48	მცენარეული ცილები საკვების წარმოებაში	5	4	2/0/2/0	60/65	–		5			ე. ხურციძე
49	ფიტორემედიაციის პრინციპები	5	3	1/0/0/2	45/80	4		5			მ. გაიდამაშვილი
50	ვაზის ფიზიოლოგია და ენოლოგიის საფუძვლები	10	7	2/0/3/2	105/145	–		10			ნ. ქებურია
51	მცენარეთა კლონური გამრავლება	10	7	2/0/3/2	105/145	5, 47			10		მ. გაიდამაშვილი
13	მცენარეთა დაცვის მეთოდები და საკანონმდებლო ნორმები	5	4	2/0/0/2	60/65	4			5		მ. გაიდამაშვილი,
52	მცენარეთა ანატომიის გამოყენებითი ასპექტები	5	3	1/2/0/0	45/80	50			5		ნ. ქებურია
53	მცენარეული ბიოწარმოება	5	3	2/0/0/1	45/80	47, 48			5		ნ. ქებურია
	არჩევითი საგნები (10 კრედიტი)										
11	ადგილობრივი ფლორა	5	3	1/2/0/0	45/80	4		5			შ. შეთეკაური
54	სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფა	5	3	1/0/2/0	45/80	1, 48			5		ზ. ქუჩუკაშვილი
	უცხოური ენა 1	5	4	0/4/0/0	60/65	-		5			
	უცხოური ენა 2	5	4	0/4/0/0	60/65	-			5		
	V. მოდული: მიკრობიოლოგია/იმუნოლოგია სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნები (50										
55	მიკროორგანიზმთა მოლეკულური გენეტიკა**	5	4	2/0/2/0	60/65	3		5			ნ. ფორაქიშვილი
56	ბაქტერიოლოგიისა და მიკოლოგიის აქტუალური საკითხები**	10	6	4/0/0/2	90/160	–		10			ლ. სერედა
57	მიკრობული ვექტორები**	5	3	2/0/0/1	45/80	5, 55			5		ნ. ჭიკაძე
58	ინფექციურ დაავადებათა კვლევის მეთოდები **	5	4	2/0/0/2	60/65	55			5		ნ. გაჩეჩილაძე

59	სამრეწველო მიკრობიოლოგია **	5	4	2/0/0/2	60/65	56			5		ლ. სერედა
60	ვაქცინების შექმნა და გამოყენება	5	3	2/0/0/1	45/80	3,5		5			ნ. ჭიკაძე
61	მოლეკულური კვლევის მეთოდები იმუნოლოგიასა და მიკრობიოლოგიაში	10	6	2/0/2/2	90/160	–			10		ნ. კულიკოვა
62	იმუნიტეტი ინფექციების მიმართ	5	4	2/0/0/2	60/65	3,5		5			ნ. გაჩეჩილაძე
63	იმუნიტეტი სიმსივნეების მიმართ*	5	4	2/1/0/1	60/65	55			5		ნ. ფორაქიშვილი
64	იმუნური სისტემის ინტეგრაციული რეგულაცია *	10	6	2/3/0/1	90/160	55, 60			10		ნ. ჭიკაძე
65	იმუნოპათოლოგია და იმუნოთერაპია*	10	6	2/2/0/2	90/160	3		10			ნ. მიცკევიჩი
66	მოლეკულური იმუნოლოგია*	5	4	2/2/0/0	60/65	5		5			ნ. ფორაქიშვილი
67	ბიოლოგიური პრეპარატები **	5	3	2/0/0/1	45/80	–		5			ნ. მაღრაძე
68	იმუნოდიაგნოსტიკა და იმუნური კვლევის მეთოდები*	5	3	1/0/1/1	45/80	–		5			ნ. კულიკოვა
69	იმუნური სისტემის გენური რეგულაცია*	5	3	2/0/0/1	45/80	5, 55			5		მ. თევზაძე
70	ვირუსული ინფექციები**	5	3	2/0/0/1	45/80	55, 56			5		ლ. სერედა
71	ვირუსების ბიოფიზიკა***	5	3	2/0/0/1	45/80				5		მ. თევზაძე
	უცხოური ენა 1	5	4	0/4/0/0	60/65	-		5			
	უცხოური ენა 2	5	4	0/4/0/0	60/65	-			5		
72	კოგნიტურ პროცესთა ნეირობიოლოგია	5	3	2/0/0/1	45/80	2, 73			5		ს. ცაგარელი ე. მითაიშვილი
73	ტვინის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია	10	5	1/0/3/1	75/175	-		10			ნ. დორეული,
74	უხერხემლოთა მოდელები: ქცევის ნეირომედიატორული	5	4	2/0/2/0	60/65	2, 73			5		მ. ალანია
75	ნეიროფარმაკოლოგია, ფსიქოფარმაკოლოგიის	10	6	2/0/3/1	90/160	2			10		ნ. დორეული

*** -არჩევითი საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად

** - სავალდებულო საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი მიკრობიოლოგიაში" მისანიჭებლად

* - სავალდებულო საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი იმუნოლოგიაში"

მისანიჭებლად ვარსკვლავების გარეშე საგნები სავალდებულოა ორივე მოდულისათვის

VI. მოდული: ნეირობიოლოგია

სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნები (45

	საფუძვლები										
76	სენსორული ფიზიოლოგია*	5	4	2/0/2/0	45/80	–		5			ა. კეზელი
77	პათოფიზიოლოგია	5	4	2/0/0/2	60/65	73			5		ბ. ჩხარტიშვილი
78	ელექტროფიზიოლოგია**	5	4	1/0/3/0	60/65	1		5			ნ. დორეული
	არჩევითი კურსები (15 კრედიტი)										
36	ფუნქციური ჰისტოლოგია	5	4	2/2/0/0	60/65	–		5			ე. ბაკურაძე
32	ბიოანტიოქსიდანტები ნორმასა და პათოლოგიურ პროცესთა მეტაბოლურ	5	3	1/0/2/0	45/80	–		5			ზ. ქუჩუკაშვილი
79	ნეიროენდოკრინოლოგია	5	3	2/0/0/1	45/80	73			5		ნ. ორმოცაძე
80	სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა*	10	6	2/0/4/0	90/160	–		10			თ. მძინარაშვილი, ე. ჩიკვაიძე
20	ნეიროქიმია	5	3	2/0/1/1	45/80	2		5			მ. ჩაჩუა
	უცხოური ენა 1	5	4	0/4/0/0	60/65	-		5			
	უცხოური ენა 2	5	4	0/4/0/0	60/65	-			5		
*-სავალდებულო საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად; **-არჩევითი საგნები ხარისხის "ბიოლოგიის მაგისტრი ბიოფიზიკაში" მისანიჭებლად											
VII მოდული: უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნები											
81	უჯრედული ბიოლოგია	10	6	3/0/0/3	90/160	1, 3		10			მ. ზიბზიბაძე ნ. ვეშაპიძე
82	მოლეკულური ბიოლოგია	10	6	3/0/0/3	90/160	1,5		10			მ. გორდეზიანი
83	კანცეროგენეზის ზოგადბიოლოგიური კანონზო- მიერებები და მისი	5	4	2/0/2/0	60/65	5		5			ნ. კოტრიკაძე, მ. ალიბეგაშვილი
84	ეუკარიოტული გენის ექსპრესიის რეგულაცია*	5	4	2/0/0/2	60/65	82			5		მ. გორდეზიანი
85	გენური ინჟინერია და ეთიკის ნორმები*	5	4	2/0/0/2	60/65	82			5		მ. გორდეზიანი
86	სიმსივნის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია	5	4	2/0/0/2	60/65	81, 82			5		ნ. კოტრიკაძე, ი. ბოჭორიშვილი
87	რადიობიოლოგიური ეფექტების მოლეკულური	10	4	2/0/0/2	60/190				10		მ. გორდეზიანი
88	უჯრედული და მოლეკულური ენდოკრინოლოგია**	5	3	2/0/0/1	45/80	81, 82			5		მ. ალიბეგაშვილი

89	უჯრედული პათოლოგიების მოლეკულური	5	3	2/0/0/1	45/80	81,82			5		მ. ალიბეგაშვილი
	მექანიზმები**										ი. ბოჭორიშვილი
90	ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეები**	5	4	2/0/0/2	60/65	81, 82			5		ნ. კოტრიკაძე
91	ორგანიზმი და სიმსივნე**	5	3	2/0/0/1	45/80	81, 82			5		მ. ზიბზიბაძე,
					არჩევითი საგნები (15 კრედიტი)						
